

## სკოპინგის დასკვნა N39

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „ბათუმის წყალი“ (ს/კ 245556679);

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 27.05.2024;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ:** შპს „ბათუმის წყალი“

### ძირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ბათუმის წყალმა“, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის განცხადება.

ქ. ბათუმის მერიის, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობაზე 2018 წლის 6 ივნისის N2-480 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (2009 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N93). აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც გაცემული იყო ქ. ბათუმის მერიაზე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 აგვისტოს N2-687 ბრძანების საფუძველზე გადაეცა შპს „ბათუმის წყალს“.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის წარმადობის გაზრდა, დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა და საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა, რომელიც დამატებით მოემსახურება აეროპორტის, სამრეწველო და კახაბერის ადმინისტრაციულ ერთეულებს.

პროექტის ფარგლებში უცვლელი რჩება გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილი, კერძოდ: გამწმენდი ნაგებობა მოწყობილია შპს „ბათუმის წყლის“ საკუთრებაში არსებული 103 262 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.05.066), რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში, ადლიის დასახლებაში, შავი ზღვის სანაპიროდან 62 მეტრის დაშორებით. გამწმენდი ნაგებობას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ქ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი (1800 მ) და აეროპორტის ასაფრენ/დასაფრენი ბილიკი (600 მ.). აღმოსავლეთიდან - ბათუმის კარტინგის სკოლა (30 მ) და ადლიის დასახლება (50 მ.). გამწმენდი ნაგებობას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ქ. ბათუმის აეროპორტის დასახლება

(უახლოესი მოსახლე 750 მ), დასავლეთიდან საავტომობილო გზა და სამხრეთიდან - მდ. ჭოროხი (750 მ.).

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, მოხდება გამწმენდი ნაგებობის გაფართოება, დაახლოებით 5 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიაზე, რომლის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ქ. ბათუმის მერიის საკუთრებას. აღნიშნული ტერიტორია აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილს.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების შესახებ. დოკუმენტში განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი), გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილმდებარეობისა და ტექნოლოგიური პროცესის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი ინფორმაციით, ალტერნატივების შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის წარმადობის გაზრდა განსაზღვრულია ქ. ბათუმისა და მისი შემოგარენში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, გამწმენდი ნაგებობის დღეღამური წარმადობა იქნება **102 220 მ<sup>3</sup>** (გათვლილი 414 000 მოსახლეზე) - ნაცვლად **85 000 მ<sup>3</sup>**-ის. გამწმენდი ნაგებობის გაფართოების პროექტი ასევე ითვალისწინებს დამატებით ახალი საკანალიზაციო ქსელის (მათ შორის, თვითდენითი კოლექტორების) მშენებლობას (აეროპორტის, ინდუსტრიული და კახაბერის ადმინისტრაციული ერთეულებისთვის), რომლის საერთო სიგრძე იქნება დაახლოებით 38 კმ, ასევე დაგეგმილია ერთი წყალჩაშვების წერტილის დამატება (ნაგებობას ექნება ჯამურად 2 ჩაშვების წერტილი) და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა, კერძოდ: გამცხრილავი 4 ერთეული, ქვიშის დამჭერი - 4 ერთეული, პირველადი სალექარი - 6 ერთეული, დენიტრიფიკაციის აუზი - 12 ერთეული, შუალედური სალექარი 34 ერთეული, წვეთოვანი ფილტრი - 11 ერთეული, საბოლოო სალექარი 4 ერთეული, შლამის გამასქელებელი 3 ერთეული, შლამის მეზოფილური შემწოვი 4 ერთეული, აირის დამჭერი 2 ერთეული, თბოელექტროცენტრალი (CHP) 2 ერთეული, სატუმბი სადგური 4 ერთეული, კოლექტორი 3 ერთეული.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში უცვლელი რჩება გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიური პროცესი, რაც გულისხმობს ჩამდინარე წყლების გაწმენდას წვეთოვანი ფილტრებისა და ანაერობული აუზების სისტემის საშუალებით. გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე შემოსული ჩამდინარე წყლები კოლექტორის საშუალებით უკავშირდება დახურულ შენობაში არსებულ ცხაურებს და ქვიშადამჭერებს, სადაც ხდება მათი მექანიკური წმენდა. მექანიკური მინარევებისგან გაწმენდილი წყალი გადადის ტერიტორიაზე მოწყობილ ანაერობულ აუზებში, სადაც ხდება მათი ბიოლოგიური დამუშავება და აქტიური ლამის წარმოქმნა. ტერიტორიაზე განთავსებულია 4 ერთეული ანაერობული აუზი. ანაერობული აუზებიდან ლამის გატანა ხდება პერიოდულად ლამის გამრობის უბანზე, ხოლო აუზებში გაწმენდილი წყალი,

შემდგომი დამუშავების მიზნით გადადის წვეთოვან ფილტრებში. წვეთოვანი ფილტრიდან გამოსული გაწმენდილი წყალი ხვდება საბოლოო დალექვის აუზებში, სადაც მიმდინარეობს გაწმენდილ წყალში არსებული მინარევების დალექვის პროცესი. აუზებში დალექილი ლამი ტუმბოს საშუალებით ბრუნდება ანაერობულ აუზში და თავიდან გადის სტაბილიზაციის პროცესებს, ხოლო საბოლოოდ გაწმენდილი წყალი გადადის სატუმბ სადგურში (გადამღვრელი სადგური), საიდანაც მილსადენის საშუალებით ჩაედინება შავ ზღვაში. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, გამწმენდ ნაგებობას დაემატება ახალი წყალჩაშვების წერტილი საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ არხში, რომელიც წარმოადგენს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. აღნიშნული არხი წყალჩაშვების წერტილიდან, დაახლოებით 800 მეტრში უერთდება მდ. ჭოროხს და საბოლოოდ ჩაედინება შავ ზღვაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გაწმენდის პროცესის შედეგად წარმოქმნილი ლამის განთავსება ხდება ტერიტორიაზე არსებულ ლამის გამოშრობის უბანზე, სადაც მიმდინარეობს ლამის გაშრობა და დაყოვნება დაახლოებით 2 წლის მანძილზე. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ ლამის გატანა ხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები შესრულდება 2 წლის განმავლობაში (წელიწადში დაახლოებით 280 სამუშაო დღე). მშენებლობის პროცესში დასაქმდება დაახლოებით 50 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების პროცესში წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და ტექნიკური მიზნებისათვის (ნიადაგის მორწყვისთვის). სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება მშენებლობა/ექსპლუატაციის ეტაპზე მოხდება არსებული წყალმომარაგების ქსელიდან. ტექნიკური მიზნებისთვის წყლით მომარაგება გათვალისწინებულია ავტოცისტერნებით, გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ არსებული არხიდან. სამშენებლო მოედანზე სამეურნეო-ფეკალური წყლებისთვის გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოს ან ბიო-ტუალეტის მოწყობა, რომელიც განიტვირთება შესაბამისი ავტომობილებით და მოხვდება გამწმენდ ნაგებობაში. ექსპლუატაციის ეტაპზე, ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წყლის გამოყენება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის. ტექნიკური წყლის ადება გათვალისწინებულია საბოლოო დალექვის ავზიდან. სამეურნეო-ფეკალური წყლები დაკავშირებული იქნება გამწმენდ ნაგებობასთან.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შესრულების ეტაპზე მოსალოდნელია ტექნიკა-დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებების მუშაობისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ ძირითად მავნე ნივთიერებას წარმოადგენს არაორგანული მტვერი, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას სხვადასხვა სახის ტექნიკური სამუშაოების პროცესში. გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა და სუნის გავრცელება, ასევე ხმაურის წარმოქმნა გამწმენდი ნაგებობის და სატუმბო სადგურების მუშაობის პროცესში. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, წარმადობის გაზრდის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, ასევე სუნისა და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებების შეფასება მოხდება გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების პროცესში, მიწის სამუშაოების შედეგად წარმოსაქმნელი გრუნტის მოცულობა იქნება 1200 მ<sup>3</sup>. გრუნტის უმეტესი ნაწილი გამოყენებული იქნება სამშენებლო სამუშაოებისთვის (ტერიტორიის მოსწორება-ამოვსება, უკუყრილები და სხვ.), დარჩენილი გრუნტის განთავსება დაგეგმილია ქ. ბათუმის ნავაგსაყრელზე თავისუფალი სივრცეების ამოვსებისათვის. საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოსახსნელი მოცულობა და მისი მართვის საკითხები დაზუსტებული იქნება გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, საქმიანობის განხორციელების პროცესში მოხდება ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება სახეობებისა და მახასიათებლის მიხედვით. ნარჩენების მართვა განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

არსებული გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია და საპროექტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობი არეალი ექცევა ზურმუხტის ქსელის საიტის „ჭოროხის დელტა GE0000054“ და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ტერიტორიის „Batumi 1“ ფარგლებში. ფაუნისტური კვლევის შედეგებიდან საკვლევ ზონაში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 35, ხელფრთიანების 20, ფრინველების 300-ზე მეტი, ქვეწარმავლების და ამფიბიების 20-მდე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. საპროექტო ტერიტორია ექცევა ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების (SPA) და მნიშვნელოვანი ადგილების (IBA) საზღვრებში, კერძოდ: SPA 16 Batumi, SPA 15 Chorokhi Delta და IBA - Batumi GE014. საპროექტო არეალში არ გამოვლენილა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ან/და ეროვნული ან საერთაშორისო კანონმდებლობით დაცული გადაშენების (EN) ან კრიტიკული გადაშენების საფრთხეში (CR) მყოფი მცენარეთა სახეობები.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება, ასევე ინფორმაცია გამოსაქვეყნებლად გაიგზავნა ხელვაჩაურისა და ბათუმის მუნიციპალიტეტებში. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა გაზეთში, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 17 ივნისს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, შპს „ბათუმის წყლის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ დაფიქსირებულა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

#### 4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ექსპლუატაციის პირობის ცვლილების საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, ტერიტორიის საკადასტრო კოდ(ებ)ის, ასევე საკანალიზაციო ქსელის, კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობის (არსებული და საპროექტო ობიექტების) shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით;
- არსებული და საპროექტო საკანალიზაციო სისტემისა და კოლექტორის სქემა, არსებული გამწმენდი ნაგებობის და დამატებით მოსაწყობი ინფრასტრუქტურის გენგეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით) და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტ(ებ)ამდე, ასევე უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე;
- ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ინფრასტრუქტურის განთავსების ალტერნატიული ვარიანტები, ასევე უმოქმედობის ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივები, შესაბამისი დასაბუთებით;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების დეტალური აღწერა, არსებული მდგომარეობით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, გამწმენდი ნაგებობის პარამეტრების, ასევე ფიზიკური მახასიათებლებისა და წარმადობის მითითებით;
- ექსპლუატაციის პირობების გათვალისწინებით, დაბინძურებული ჩამდინარე წყლების სავარაუდო შემადგენლობა - გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ (ჩამდინარე წყლის ჩაშვების პარამეტრები, ჩამდინარე წყლების მოსალოდნელი დაბინძურების დატვირთვები, ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილების GPS კოორდინატები) შესაბამისი დასაშვები ნორმების მითითებით. ასევე, გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ ჩამდინარე წყლების მონიტორინგის (სინჯების აღების წერტილები, მეთოდები, პერიოდულობა) საკითხები;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ზრდისა და შესაბამისად ჩამდინარე წყლების რაოდენობის ზრდის დინამიკის მაჩვენებლები, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის წარმადობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის მითითებით;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, საბოლოო მართვის ღონისძიებების მითითებით. მათ შორის: წარმოქმნილი ლამის კლასიფიკაციისა და ლაბორატორიული კვლევის ჩატარების შესახებ ინფორმაცია; გამწმენდი სისტემიდან ლამის განტვირთვის

სიხშირის შესახებ ინფორმაცია, გამწმენდი ნაგებობიდან ლამის განტვირთვის მეთოდის მითითებით; ლამის გაუწყლოების ადგილი და პირობები, საბოლოო დასაწყობების ადგილები და პირობები, შესაბამისი დასაბუთებით. ასევე, მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს გაუწყლოებული ლამის გატანას და საბოლოო განთავსებას;

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი სუნის გავრცელების შედეგად ზემოქმედების შეფასება (სუნის გავრცელების წყაროების მითითებით), შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში (სამშენებლო სამუშაოებისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე) გამოყენებული წყლების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის საპროექტო გამწმენდი ნაგებობის პერიმეტრზე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების და მათი მართვის შესახებ;
- გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია;
- ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი ნარჩენების (ლამი და სხვ.) შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად ნარჩენების კოდების, დასახელებების, მოსალოდნელი რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

#### 4.1 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მითითებით;

- ინფორმაცია სამშენებლო მოედნებისა და მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მართვის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსების ადგილების/სანაყაროების (GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად) მითითებით;

#### 4.2 გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

##### გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

##### გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- ზემოქმედება გრუნტის წყლებზე;
- საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით.

#### 4.3 ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე (პროექტის განხორციელების თითოეული ეტაპისთვის), ამ ზემოქმედების თავიდან აცილებასა და საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების საფუძველზე განსაზღვრული უნდა იყოს მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები და მასშტაბი, რის შემდეგაც უნდა განახლდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და შემუშავდეს



მონიტორინგის გეგმა, სადაც სამონიტორინგო დაკვირვებები მოცემული იქნება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტისთვის. გეგმაში უნდა აისახოს, ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების, მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, ასევე სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხები;

- **საპროექტო ტერიტორია ემთხვევა ზურმუხტის ტერიტორიას (ჭოროხის დელტა-GE0000054). აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, გზშ-ის ანგარიშში აისახოს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზეგავლენის შეფასება, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია იმ სახეობებსა და ჰაბიტატებზე შესაძლო ზემოქმედების და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ქმედებების შესახებ, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა მითითებული ზურმუხტის ტერიტორია, მონიტორინგის გეგმასა და სხვა საჭირო საკითხებთან ერთად;**
- დოკუმენტში წარმოდგენილი ჰაბიტატები არ ემთხვევა ჭოროხის დელტის სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში წარმოდგენილ ჰაბიტატებს, შესაბამისად უნდა შეფასდეს, პროექტის ზემოქმედება აღნიშნულ ჰაბიტატებზე;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით მოსალოდნელია: „დაჭაობებული ადგილების ამოშრობის შედეგად წყალთან ასოცირებული სახეობებისთვის პოტენციური თავშესაფრის და საკვები ადგილების დაკარგვა“. ვინაიდან ჭოროხის ზურმუხტის საიტზე წარმოდგენილია მკაცრად დასაცავი C1.1-ჰაბიტატი-მუდმივი ოლიგოტროფული ტბორები და გუბურები, აუცილებელია გზშ-ის ანგარიშში დაზუსტდეს ზემოხსენებული ჰაბიტატის არსებობა საპროექტო არეალში და მასზე მოსალოდნელი ზემოქმედება;
- კვლევების პროცესში საჭიროა ყურადღება გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ საპროექტო ტერიტორია ემთხვევა ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიას (IBA – GE031 Chorokhi Delta, IBA – GE014 Batumi) და ფრინველთა სპეციალურ დაცულ ტერიტორიას (SPA 15 Chorokhi Delta, SPA 16 Batumi). ვინაიდან ჭოროხის დელტა წარმოდგენს ყოველწლიურად 1,4 მლნ გადამფრენი ფრინველის ჰაბიტატს, სამშენებლო საქმიანობები არ უნდა განხორციელდეს ფრინველთა გადაფრენის პერიოდში, შეწუხების თავიდან აცილების მიზნით;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნებაზე კუმულაციური ზემოქმედების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია და სათანადო პრევენციული ღონისძიებები.

**5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:**

- ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის: მოცემული უნდა იყოს მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის

წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები; სუნის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასება (განსაკუთრებით საყურადღებოა ლამის გამოშრობის პროცესში წარმოქმნილი სპეციფიკური სუნის გავრცელების საკითხი) და შემარბილებელი ღონისძიებები; ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის სტაციონარული წყაროების არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
- ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტებზე შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია.
- მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტებზე და მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. პროექტის ფარგლებში მოსახსნელი ნიადაგის/გრუნტის მოცულობებისა და ფართობების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, შემდეგი მართვის ღონისძიებების მითითებით და დასაბუთებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან,

განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით);
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა; მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა. მათ შორის გამწმენდი ნაგებობის ავარიული გაჩერების შემთხვევაში მდინარის დაბინძურების პრევენციის მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი რეკომენდაციები.

## **6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:**

- სკოპინგის ანგარიშში არ არის მითითებული და გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გამწმენდი ნაგებობის გაფართოების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს მიწის ნაკვეთების დანიშნულებისა და საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი ინფორმაცია;
- ვინაიდან ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია ჩამდინარე წყლების ჩაშვება გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ არსებულ არხში, რომელიც წარმოადგენს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს არხის მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვინაიდან ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პროცესში დარჩენილი გრუნტის განთავსება ქ. ბათუმის ნაგავსაყრელზე თავისუფალი სივრცეების ამოვსებისთვის, გზშ-ის ეტაპზე

წარმოდგენილი უნდა იყოს ნაგავსაყრელის ოპერატორთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ჰიდროლოგიური ინფორმაცია სხვადასხვა ქვეთავშია გაბნეული და არასრულყოფილადაა წარმოდგენილი. გზშ-ის ანგარიშის ჰიდროლოგიის ქვეთავში განხილული უნდა იყოს საპროექტო არეალში ჭოროხის აუზის ძირითადი მორფომეტრიული პარამეტრები და მდინარის ჩამონადენის ჰიდროლოგიური მახასიათებლები, ასევე, ჰიდროსფეროზე საპროექტო ცვლილებით განპირობებული შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი;
- ვინაიდან გამწმენდი ნაგებობა და საკანალიზაციო სისტემა მდებარეობს ქ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის სიახლოვეს, წარმოდგენილი უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, ქ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოსაწყობი საკანალიზაციო სისტემა კვეთს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „ბათუმი (ანგისა)-ახალციხის“ საავტომობილო გზას. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ტექნიკური მიზნებისთვის (მორწყვისთვის) წყლით მომარაგება გათვალისწინებულია გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ არსებული არხიდან. წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული არხის მფლობელთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია, ასევე არხიდან აღებული წყლის მოსარწყავად გამოყენების ვარგისიანობის შესახებ ინფორმაცია;
- ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, მათ შორის გამოვლენილი დარღვევებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების/გონივრული ვადების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- იმ შემთხვევაში, თუ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში დაგეგმილია 2018 წლის 6 ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N2-324/ექსპერტიზის დასკვნა N93) ძალადაკარგულად გამოცხადება, აღნიშნული მოთხოვნა უნდა აისახოს გზშ-ის ანგარიშში;

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

#### დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ბათუმის წყლის“ მიერ, წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.